კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი

2021

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, დამტკიცება, შემუშავება

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, დამტკიცება, შემუშავება და განვითარება რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის იდეის გაცხადება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა (ბაზრის კვლევის/მოთხოვნების გათვალისწინებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და თანმიმდევრული განხილვა (დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივად);
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება;
- პროგრამის იმპლემენტაცია და განვითარება.

2.2. ზემოაღნიშნულ ეტაპებთან მიმართებაში მოქმედებს შემდეგი ვადები:

საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის იდეის გაცხადება და მისი განხილვა.	იდეის გაცხადება უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოზე იდეის განხილვამდე არაუმცირეს 2 კვირით ადრე, ხოლო მისი განხილვის ვადა საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა (ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით).	განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება (დაინტერესებულ მხარეებთან ერთად)	განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც უნდა დასრულდეს არაუმცირეს 3 თვისა პროგრამის აკრედიტაციის მოსაპოვებლად წარდგენამდე.
საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრული განხილვები (დაინტერესებულ მხარეებთან ერთად) - საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის წარდგენა სასწავლო დეპარტამენტში - საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის წარდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსთვის	განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც უნდა დასრულდეს არაუმცირეს 6 კვირისა პროგრამის აკრედიტაციის მოსაპოვებლად წარდგენამდე

- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად	
პროგრამის იმპლემენტაცია და განვითარება (ცვლილებების გათვალისწინებით)	მუდმივი პროცესი

3. საგანმანათლებლო პროგრამის იდეის გაცხადების ეტაპი

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის იდეის გაცხადება გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის იდეის წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის.

3.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეა შეიძლება მოწოდებული იქნას:

- უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მიერ;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორი დაწესებულებების მიერ;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ;
- დარგის სპეციალისტის/დამსაქმებლის მიერ;
- სხვა უნივერსიტეტის (მათ შორის, უცხოურის) მიერ (ერთობლივი პროგრამის განხორციელების ან/და ურთიერთთანამშრომლობის საფუძვლით).
- ნებისმიერი დაინტერესებული მხარის (საჯარო, კომერციული, არასამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციების) მიერ.

3.3. ფაკულტეტის საბჭო საგანმანათლებლო პროგრამის იდეას განიხილავს წარმდგენი მხარის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით. ამასთან, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია განხილვის ეტაპზე მოიწვიოს სხვა დაინტერესებული ან/და კომპეტენტური პირები.

3.4. ფაკულტეტის საბჭო, იდეის განხილვისას მსჯელობს შემდეგ საკითხებზე:

- საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა საზოგადოებისათვის;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან;
- აბიტურიენტების/სტუდენტების დაინტერესებისა და სტუდენტების დასაქმების პერსპექტივების შეფასება (შრომის ბაზრის კვლევის შედეგები);
- სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისათვის.

3.5. საგანმანათლებლო პროგრამის იდეის განხილვის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით გაახანგრძლივოს განხილვის ვადები და შესაბამის პირებს დაავალოს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

3.6. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭო აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობასა და განხორციელების მიზანშეწონილობას უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმების გათვალისწინებით და დადებითი პოზიციის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით.

3.7. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებისა, ფაკულტეტის საბჭო, ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადებისა და განხორციელების პროცესის ვადებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

4.1. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, აკრედიტაციისთვის მომზადებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს (შემდგომში - ,,პროგრამის განვითარების ჯგუფი“).

4.2. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს პროგრამის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის მუშაობაზე და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსთან.

4.3. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, განვითარების ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი პირებისგან:

- პროგრამის იდეის მომწოდებელი (ან მისი წარმომადგენელი);
- ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი;
- სტუდენტები;
- უნივერსიტეტის პარტნიორი ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- დამსაქმებლები;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;

4.4. პროგრამის განვითარების ჯგუფი ვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს საგანმანათლებლო პროგრამის გეგმა, რომელსაც კენჭს უყრის ფაკულტეტის საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის შემუშავების ეტაპის დაწყების, სამუშაო ჯგუფის მიერ ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციებით გეგმის გადასინჯვის ან გეგმის უარყოფის შესახებ.

4.5. საგანმანათლებლო პროგრამის გეგმა უნდა მოიცავდეს პროგრამის ძირითად მახასიათებლებს:

4.5.1. პროგრამის დასახელება;
4.5.2. სწავლების ენა;
4.5.3. პროგრამის ხელმძღვანელი პირი;
4.5.4. პროგრამის მიზანი;
4.5.5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
4.5.6. პროგრამის მოცულობა;
4.5.7. სწავლის შედეგები;
4.5.8. პროგრამის კურიკულუმი;

4.6. პროგრამის განვითარების ჯგუფში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით და ჯგუფის ყველა წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

4.7. პროგრამის განვითარების ჯგუფი იხილავს პროგრამის ხელმძღვანელის შესაძლო კანდიდატურებს და შერჩეულ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

4.8. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატურას და ამტკიცებს მას პროგრამის ხელმძღვანელებად.

4.8.1. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამუშაოს აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით.

4.8.2. პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პროცესი ეფუძნება პირის კვალიფიკაციის, პროფესიულ, საგანმანათლებლო სფეროში საქმიანობის გამოცდილებასა და მის მოტივაციას/ხედვას პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება გულისხმობს:

5.1.1. პროგრამის განვითარების ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას;

5.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის შექმნას, რომელიც მოიცავს:

5.1.2.1. პროგრამის განხორციელების აქტუალობა, პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით;

5.1.2.2. SWOT ანალიზი;

5.1.2.3. პროგრამის კურიკულუმი;

5.1.2.4. სასწავლო კურსების სილაბუსები;

5.1.2.5. ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შესახებ (CV, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები);

5.1.2.6. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობის შეფასება;

5.1.2.7. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესაბამისობის შეფასება;

5.1.2.8. პროგრამის ფინანსური მდგრადობის დასაბუთება;

5.1.2.9. დაინტერესებული პირების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;

5.1.2.10. პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვისა და ბაზრის მოთხოვნის ანალიზი.

5.1.2.11. დამატებითი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში.

5.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების განსაზღვრას.

5.2. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციას წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს და

დამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის შემთხვევაში, შეფასებასთან განსახილველად გადასცემს ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგაც პროცესი გადადის საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის ეტაპზე.

5.2.1. არადამაკმაყოფილებელი დოკუმენტაციის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს პაკეტს პროგრამის განვითარების ჯგუფს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა და დამტკიცება**

6.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის ეტაპი გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზის;

6.2. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და აფასებს წარდგენილი პროგრამის შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ასევე განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობას;

6.3. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამის პაკეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოს შეფასებებთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შემდგომი მსჯელობისა და დამტკიცებისთვის.

6.4. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას განიხილავს უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასთან, განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსთან, სხვა კომპონენტებთან მიმართებაში და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

6.5. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო მოტივირებულ პასუხს უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს.

6.6. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ამტკიცებს პროგრამას და უგზავნის მოთხოვნას:

6.6.1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შესაბამისი მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფისათვის;

6.6.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის სრული პაკეტის მომზადებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენისათვის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

7. **პროგრამის იმპლემენტაცია და განვითარება**

7.1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების იდეის განმცხადებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციას (ცვლილების აუცილებლობის საფუძველს) წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს.

7.2. პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, დაინტერესებულ პირებთან სათანადო კონსულტაციებისა და პროგრამის შეფასების შედეგების

ანალიზის შემდეგ განიხილავს ცვლილებების აუცილებლობას, მოსალოდნელ შედეგებს და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს.

7.3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების მომზადებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი.

7.4. პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების მომზადებისა და შესაბამის დეპარტამენტში განხილვის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი დოკუმენტაციას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

7.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს პროგრამის ცვლილებათა პაკეტსა და პროგრამის დოკუმენტაციას მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და დადებითი შეფასების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭო კი მოწონების შემთხვევაში - აკადემიურ საბჭოს.

7.6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებათა პაკეტს განიხილავს უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიასთან და რესურსებთან მიმართებაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ამტკიცებს მას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დასაბუთებულ პოზიციას უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს.

8. **პროგრამის გაუქმება**

8.1. გადაწყვეტილებას უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტური გარემოებების ანალიზის საფუძველზე:

8.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის წინააღმდეგობა უნივერსიტეტის მისიასთან ან კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

8.1.2. ბოლო 4 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტური კონტინგენტის არარსებობა;

8.1.3. სხვა ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის პროგრამის განხორციელებას.

8.2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში:

8.2.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას და კონსულტაციას სხვა დაწესებულებებში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობისა და მობილობის შესაძლებლობის შესახებ;

8.2.2. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის მობილობას პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

8.2.3. პროგრამის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს მემორანდუმს/ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების

თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებს, მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით;

8.2.4. უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი საფეხურის სხვა პროგრამაზე გადასვლას (არსებობის შემთხვევაში) შიდა მობილობის წესით;

8.2.5. თუკი პროგრამის გაუქმების მიზეზი არ არის უნივერსიტეტის ლიკვიდაცია, ავტორიზაციის ან რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კი - აკრედიტაციის გაუქმება და უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის მობილობას პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ან არ არსებობს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას) განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების პროცედურებით მობილობის პროცესის გამარტივების მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია, სტუდენტს დაასრულებინოს საგანმანათლებლო პროგრამა.